

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი № 18

ქ. ახმეტა

30 ივნისი, 2017 წელი

თავმჯდომარეობდა:

თამარ ყვინიშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:

ა. შათირიშვილი, გ. ქიტესაშვილი, თ. წითელაური,  
ზ. გარსევანიძე, მ. ალხანაშვილი, ი. უჯირაული,  
გ. მაისურაძე, თ. ბოდაველი, ბ. ჭიჭიკლიშვილი,  
ნ. აბალოძე, ც. გრძელივანიშვილი,

სხდომა გაიხსნა 10<sup>00</sup> სათზე.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“  
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში  
ცვლილებების შეტანის თაობაზე;  

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/
2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს  
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი  
ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე, ახმეტის  
მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების  
მოწონების შესახებ;  

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

თამარ ყვინიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მიღება, რასაც ერთხმად დაეთანხმნენ ბიუროს წევრები.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“  
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში  
ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

მომხსენებელმა განმარტა საკითხი:

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებებით შემოსულობების ზრდა  
გათვალისწინებულია 72,0 ათ. ლარით (საწარმოთა ქონების გადასახადი).

შემოსულობები შემცირდა ცენტრალური ბიუჯეტიდან 143,3 ათ. ლარი.

გადასახდელები

კლება (-)

გამგეობა - არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობა (კაპიტალური) -20,0 ათ. ლარი.

ინფრასტრუქტურა

ზრდა (+)

სპორტული ინფრასტრუქტურა (კაპიტალური) + 70,0 ათ. ლარი

სარწყავი არხები და ნაპირსამაგრები (კაპიტალური) +10 ათ. ლარი

ხიდები (კაპიტალური) +10,0 ათ. ლარი

კლება (-)

ბინათმშენებლობა (კაპიტალური) -30,0 ათ. ლარი

სასმელი წყლის სისტემები (კაპიტალური) -10,0 ათ. ლარი

სკოლამდელი განათლების არაფინანსური (კაპიტალური) ც/ზ -78,2 ათ. ლარი

გზები (კაპიტალური) ც/ზ -30,6 ათ. ლარი

წყლის სისტემები (კაპიტალური) ც/ზ -34,6 ათ. ლარი

ა(ა)იპ-ები

ზრდა (+)

ა(ა)იპ კულტურის ცენტრი (სუბსიდია) +13,7 ათ. ლარი

ა(ა)იპ მუსიკალური სკოლების გაერთიანება (სუბსიდია) +8,3 ათ. ლარი

ა(ა)იპ გარეგანათებისა და კეთილმოწყობის სამსახური (სუბსიდია) +15,0 ათ. ლარი

ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლა (სუბსიდია) +5,0 ათ. ლარი.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება: 11 მომხრე.

1 არ მიიღო მონაწილეობა.

მორისძინეს: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

მომხსენებელმა განმარტა საკითხი:



მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2017 წელს დამატებით დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები თანდართული სახით.

დაევალოს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელს განაორციელოს საპროექტო წინადადებების ინიცირება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება: 11 მომხრე.

1 წინააღმდეგი.

ბიუროს სხდომა დაიხურა 10<sup>20</sup> საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



თამარ ყვინიშვილი.